შაბათი, 17 აპრილი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 შაბათი, 17 აპრილი 1904 წ.

ივერია

№ 92 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 92

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვეს 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

უგანათლებულესნი თავადნი პეტრე, გიორგი და მიხეილ ალექსანდრეს ძენი გრუზინსკები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 18 ამა აპრილს, უგანათლებულესი კნეინა

ელენე ზაქარიას ასული გრუზინსკისა

სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქმნება მცხეთის საკათედრო ტაძარში წლის წირვა და პანაშვიდი დილის 10½ საათზედ.

(1—197—1)

ახალი წიგნი

ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.

ფასი 1 მან.

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტალურ სავაჭროში და ხიდიკელისა და გუტერბენგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგ დაიბარებს 10 ეკზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

რაინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

ფოტოგრაფია

რაინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული**.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ხნახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემაძე**.

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

ძირითადი თანხა	. . . .	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	. . . .	2.664.808 მან.

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გაიგზავნება როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ა რხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავ-მოძრავ ქონებისა.

გ) დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადაიტანება ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433.

(50—6.—28)

ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლისაგან

თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ 25 მაისს 1895 წელს სახელმწიფო საბჭოს აზრისა ძალით იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებლად მეოფთ თავიანთი შეტანილი ფული ამა ბანკის დასაარსებლად და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიც გადავიდა შესაბამის წარწერით თ-დ ნიკოლოზ შერმაზანის-ძის და თინათინ ივანეს ასულის აბხაზთა მიერ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილის ფულის კვიტანცია ოთხას ოთხმოცდა რვა მანეთისა და 75 კაპ. (488 მ. 75 კ), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდვისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდებათ ზემოხსენებულ თ-დ აბხაზთა.

3—6—1.

იძლევა ქირით

1 მაისიდგან ამა წლისა სათავად-აზნაურო სახლებში, სასახლის ქუჩაზედ მაღაზიები №№ 21 და 97, რომლებიც ამ ჟამად უჭირავთ მინასოვებს. ყოველ ცნობების გაგება შეიძლება იმავე შენობაში მამულების საქმეების მმართველ კანტორაში.

(10—6—3)

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—2)

ამ წლის 2 მაისს „ტფილისის საკრებულოს“

საზაფხულო ბაღში

მიხეილის პროსპექტზე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა და ცოცხალი სურათები. დასასრულ

ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლღა თადეოზის ასულ ჰავჰავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95).

(20—12)

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

გ. ს. ე ლ ვ ი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზბრაბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

შ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ა. დ. ლამბაშიძე. შინაგ და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. შ. ხობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ჟორდანიკის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

ზავზე ლაპარაკი.—ჩინეთის ნეიტრალიტეტი.—ომის ხარჯი.—ციმბირის რკინის გზა.—წვრილი ცნობები.

გაზეთებში იყო დაბეჭდილი, ვითომც ინგლისის მეფე ედუარდი აპირობს შუამავლობა იკისროს რუსეთსა და იაპონიას შორის, რომ მშვიდობიანობა აღადგინონ. ამბობენ, როდესაც მეფე ედუარდი კოპენჰაგენში იყო, მაშინაც სიტყვა გაატარა ამ საგნის შესახებ. დიპლომატები ჰფიქრობენ, შუამავლობა მაშინ დაიწყება, როდესაც რუსეთი ხმელეთზედ გაიმაჯვებსო. მაშინ მანჯურიას რუსეთს მისცემენ სამუდამოდ და კორეა იაპონიის საპროტექტორად დარჩებაო. ინგლისის ერი თან-და-თან რუსეთის თანამგრძნობლობას იჩენს და მოწადინებულია, ომს მალე მოეღოს ბოლო.

«ეს ამბავი უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთო,—ამბობს «პეტ. ვედ.». ესე ერთბაშად რამ მოანდომა ინგლისელებს მშვიდობიანობა და მაშინ კი, როდესაც რუსეთი ამ გზას ადგა, იაპონელებს აქეზებდნენ? იქმნება, იმათ «მეგობრებსა» დი შეგირდებს მოსწყინდათ ზღვაზე გამარჯვება და ხმელეთისა ეშინიანთ? თუ ინგლისის სამხედრო ქარხნებმა საკმაოდ ივაჭრეს და ისარგებლეს, როდესაც სხვები ზარალობენ? თუ ინგლისელებს შეეშინდათ, ჩვენც არ მოგვხდეს იმ დროს, როდესაც ჩინეთის «მოკრივენი» კვალად ამხედრდებიან და რუსებს მიესევიან იაპონელთა მიერ გაწვრთნილ ჯარებითურთ? თუ კვალად ბურების აჯანყება მოეზმანათ?

ინგლისელები ისეთი ეშმაკები არიან, რომ უჭკვიანესი დიპლომატებიც კი ვერას მიუხვდებიან, რასაც ამტკიცებს უკანასკნელი ინგლის-საფრანგეთის მორიგება, რომელიც ეხლა ჩვენშიაც სასიხარულოდ მიაჩნიათ. ყოველ მხრივ რომ გამოვარკვიოთ ინგლისელების განზრახვა და მოქმედება, საჭიროა ყველამ თვის ჭკუა-გონებას ძალა დაატანოს და გამოსთქვას თავისი აზრი, ჩვენის აზრის საწინაამდეგოც რომ იყოს.

ამისთანა ხმები პირველად არ გვესმის და ყოველთვის იაპონელების მცირეოდენ გამარჯვებას მოსდევს. ეტყობა, ინგლისი თავის ტრადიციულ პოლიტიკას

ადგია და ერთს წამსაც არა ჰლალატობს: ეხლავე სცდილობს, რომ გამარჯვების ჯილდო არ ავილოთ...

როგორ—იკითხავენ ზოგნი,—ჩვენ გვაძლევენ დიდს, ფართო მანჯურიას და იაპონიას მხოლოდ უგვზო-უკვლო კორეის პროტექტორატობას? მეტი რაღა გვინდა?

კარგად დააკვირდით და დაინახავთ, რომ იაპონიას მაინცა და მაინც რაიმე საჩუქარს აძლევენ, ჩვენ კი არარას... ინგლისელები ჰფიქრობენ, რომ ჩვენ ანგარიშში ძალიან დაქვეითებულნი ვართ (როგორც ფრანგები). განა ცხადი არ უნდა იყოს, რომ, თუ ინგლისელები გვაძლევენ რასმე, ეს იმათთვის უფრო სასარგებლო უნდა იყოს? ამის გაგებას დიდი თავის მტვრევა არ უნდა: იაპონიას აძლევენ პროტექტორატობას იმ ქვეყნისას, რომელიც უკვე დაიპყრო, რადგან ევროპიელებმა ხმა არ ამოიღეს, და ჩვენ კი მოგვეცემა «საკუთრებად» ისეთი ჩინელთათვის ძვირფასი ქვეყანა, რომლის დროებით დათმობასაც კი ვერ იტანენ. და ჩინელებს ართმევენ, იმიტომ რომ წყნარად ისხდნენ და შემოგვყურებდნენ ომის დროს. განა ამას მოითმენენ და არ აჯანყდებიან, მეტადრე მაშინ, როდესაც ნახავენ, რომ იაპონელებს კადნიერებისათვის კორეა ეძლევა და იმათ კი მდიდარი მანჯურია ერთმევათ იმპერატორის საგვარეულო აკლდამებით, თითქოს მშვიდობიანობისათვის სასჯელის ღირსნი იყვნენ? განა ეს გარემოება არ აფიქრებინებს, რომ კარგი იქმნება, ავაზაკურადვე დავეცნეთ რუსეთსაო? ჩინელები უთუოდ წათამამდებიან, რადგან ინგლისი ჩუმად მხარს დაუჭერს, როგორც ეხლა იაპონიას. შესაძლოა, რომ იგლისი მოწადინებულია ომის ველი შიგნით ჩინეთში გაგიტანოს, სადაც არა ესაქმება რა და არაფრის გამორჩენის იმედი არა აქვს. ამავე დროს თავის მოკავშირეს შეასვენებს, რომ შემდეგ კვალად გაილაშქროს მოკრივეთა და ავაზაკთა ბრბოთა ომში მოღალულ რუსებზე.

—

ჩინეთის ნეიტრალიტეტის შესახებ ფრანგულ გაზეთ «ტანის» კორესპონდენტი სწერს:

«გასაოცარია, რომ ინკოუდგან ტიანძინამდე მრავლად არიან იაპონელთა დაბალი ჯარის კაცები. ყოველ სადგურზედ ჯგუფ-ჯგუფად დგანან იაპონელი სამხედრო კაცები, მატარებელი რომ მივა სადგურზედ, ყოველ ვაგონს მოივლიან და მოგზაურებს აცქერდებიან. უნტერ-აფიცერი იაპონურ კეპით თავზე, წითელ შარვალში გამოწყობილი და ქამარზე ჩამოკიდებულ რევოლვერით ბაქანზე წინ და უკან დადის. ძალა-უნებურად გაგივლოს თავში, იაპონელები ხომ არ შემოსულან და თავის ჯარით ჩინეთის რკინის გზა არ დაუჭერიათო. ეს გარემოება ამტკიცებს იაპონელების გავლენას ჩინეთში. ჩინელები იაპონელდებიან. ყოველ საზოგადოებაში იაპონელებმა თანაგრძნობა დაიმსახურეს. ეხლა იმათ ისე კი აღარ უყურებენ, როგორც შეუბრალებელ მპყრობელებს, ჩინეთის დამმარცხებელებს, არამედ როგორც მსხნელთ და დამხმარებელთ. ეხლა ჩინეთში ძლევამოსილობით განთქმულია იუანშიკაი, პეჩელიის პროვინციის ვიცე-კოროლი, რადგან ის დიდძალის ჯარის სარდალია. და ეს იუანშიკაი, რომელსაც ამ ათის წლის წინად იაპონელები საშინლად სძულდა, ეხლა იმათი მეგობარია. მომეტებული ნაწილი აფიცრებისა იმის ჯარში იაპონელები არიან და იაპონელებივე ჰყავს მრჩევლებად. იმის მაგალითი, რომ მტერი მოყვარედ გადაქცეოდეთ იაპონელებს, ათასობითაა. ბეჯითად ითქმის, რომ, თუ ვინიცობაა იაპონიამ რუსეთი საგრძნობლად დაამარცხა; მთელი ჩინეთის ერი აჯანყდება და ძალას დაატანს მთავრობას აშკარად მიემხროს იაპონიას».

დასასრულ, კორესპონდენტი ამბობს, რომ იაპონელების გამარჯვება მავნებელი იქმნება ევროპიელებისთვის, ხოლო იმედოვნებს, რომ ამისთანა გამარჯვება იაპონელთა ისტორიაში არაოდეს არ ჩაიწერებაო. მაინც და მაინც საჭიროა, ევროპის სახელმწიფოებმა ეხლავე იღონონ რამე, რომ ჩინელებმა არა იხიფათონ-რაო (ნ. ვ.).

—

ბერლინის გაზეთებს დეპეშები მოსვლიათ ტოკიოდგან, ვითომც ადმირალ ტოგომ გადასწყვიტა ორის კვირით შეასვენოს პორტ-არტური, რადგან გარშემო მრავალი ყუმბარები დაცურავსო. იაპონელების საგზირო გემები კი პორტ-არტურს თვალს არ აშორებენ. ნავთსადგურს გარშემო კიდევ სდებენ ყუმბარებს.

კორეიაში იაპონელებმა გადიყვანეს აქამომდე ხუთი დივიზია, 100,000 კაცი, 76 გემზედ მოთავსებულია კიდევ 60,000 კაცი, რომლებიც ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზედ გადავა და პორტ-არტურს ალყას შემოარტყავს.

გამოცხადებულია ბრძანება, რომ 100,000 ჯარის კაცი კიდევ უნდა შეაგროვონ და ივნისში გაგზავნონ კუნძულებიდგან ხმელეთზე. მაშინ იაპონელებს ბრძოლის ველზე 280,000 კაცი ეყოლებათ (?. ვ.).

—

«ფრანქფურტის ცეიტუნგს» გამოუანგარიშნია, საფრანგეთის წყაროებიდგან ამოკრებილ ცნობებით, რომ რუსეთს მარტის გასვლამდე დაუხარჯავს ომის საჭიროებისათვის 92,500,000 მანათი. ივნისიდგან გადადებულ იქმნება სამხედრო უწყებისათვის თვეშ.. 30 მილიონი და საზღვაო სამინისტროსათვის 10 მილიონი. რკინის გზასაც 1905 წლამდე დასჭირდება ხარჯი 45 მილიონი მანათი. ამ რიგად 18 თვის განმავლობაში რუსეთი დახარჯავს 800,000,000 მანათს. გაზეთ «ტანის» სიტყვით, რაც ეხლა ნაღდი ფული აქვს რუსეთს, ის საკმარისია ომისთვის და ახალ გარდასახადების შემოღება არ დასჭირდება (ზ. ვ).

—

«ბერლინის ტაგბლატის» სამხედრო კორესპონდენტი პოლკოვნიკი გედკე ციმბირის რკინის გზის შესახებ ამბობს:

ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა, 8—9 ათას ვერსზე გაჭიმული, ძალიან კარგად ასრულებს თავის დანიშნულებას, თუმცა მრავალი გასაჭირი გარემოება დიდად აბრკოლებს მატარებლების მისვლა-მოსვლას. მცირე ხანს ამ გზით სათადარიგო ჯარი მოგროვდა და შიდა რუსეთიდგან დიდძალი ჯარი გადავიდა. ვგონებ, იაპონელებს უფრო ნელა გადაჰყავთ თავისი ჯარი გემებით და უფრო მეტის გაჭირებით მიჰყავთ წინ კორეის უვარგის გზებით, ვიდრე რუსეთს შეუდარებელ სიშორიდგან, ე. ი ევროპიდგან დიდ ოკეანეს ნაპირამდე. მე კარგად ვიცი, რომ აქაც მრავალი დაბრკოლება და უბედური შემთხვევა ელობება ჯარის გადაყვანას, მაგალითად, მუკდენს მატარებლები 2—3 საათით გვიან მიდიან, ხარბინსა და მუკდენს შუა მატარებლები ნელა დადიან და სადგურებზე დიდხანს ჩერდებიან; მაგრამ დღეში ექვს მატარებელს მაინც შეუძლიან მიმოსვლა. რუსეთს შეუძლიან იამაყოს, რომ ციმბირის რკინის გზა ესე გვარიანი გამოდგა (ნოვ.).

—

ჩინეთის ელჩს პეტერბურგში განუცხადებია სატელეგრაფო სააგენტოების წარმომადგენლებისათვის, რომ უცხოელ გაზეთებში ტყუილი და უსაფუძვლო ხმა გაუვრცელებიათ, ვითომ ჩინეთის საელჩო პეტერბურგსა სტოვებსო. ჩემმა მთავრობამ ამ დღეებში მაცნობა, რომ ნეიტრალიტეტი მტკიცედ იქმნება დაცული და ამჟამად საკმარისი ჯარი ჰყავს ხუნხუზებისა და მოკრივეთა დასამშვიდებლად, თუ რომ აჯანყება გაჰბედეს და მტრობა დაუწყეს რუსებს ანუ საერთოდ ევროპიელებსა. (რ. ვ.).

—

ადმირალი ვირენიუსი, რომელსაც ესკადრა შორეულ-აღმოსავლეთში მიჰყავდა და უკან დაბრუნდა, ამ დღეებში მისულა პეტერბურგს. მის მოგზაურობის ამბავი მოკლედ არის დაბეჭდილი «ნოვ. ვრემიაში». სხვათა შორის, ადმირალ ვირენიუსს უთქვამს, რომ თუმცა იმისმა ესკადრამ იმ მანძილზე მეტი გაიარა წინ-და-უკან, რაც პეტერბურგიდგან პორტ-არტურამდეა, მაგრამ არც დიდი გემები და არც ნაღმოსნები არ დაჰზიანებია. რასაკვირველია, ამისთანა მოგზაურობის შემდეგ მაინც და მაინც საჭიროა მანქანების დაშლა, დაწმენდა და შესწორება, მაგრამ ამას დიდი დრო არ დასჭირდება და შეუდგნენ კიდეც ლიბავაშიო.

—

სამხრეთ-მანჯურიაში ზაფხული დამდგარა და სიცხეები დაუჭერია. ჯარსა და მეზღვაურებს 15 აპრილიდგან ზამთრის ტანთსაცმელი ზაფხულისაზედ შეუცვლია (რ, ვ.).

ტფილისი

—

*** როგორც გადმოგცეს, ტფილისში არსდება ახალი საზოგადოება რამდენისამე ქართველის მეთაურობით. საზოგადოებას აზრად აქვს, შეჰკრიბოს მთელ საქართველოში ხალხური სიმღერები, გადიღოს ნოტებზედ და გაავრცელოს ხალხში. საზოგადოებას თავისი ხორო ეყოლება. ამ საქმის მეთაურთ შუამდგომელობა ნებართვის შესახებ უკვე აღუძრავთ უმაღლეს მთავრობის წინაშე.

*** მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებლის დირექტორმა სთხოვა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას, ნება მიეცით ამ სასწავლებლის სტუდენტთ, რომ ზაფხულობით ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე დროებით კანტროლერებად იყვნენო.

*** იურიდიული საზოგადოება დღევანდელ კრებაზედ მოისმენს ნაფიც ვექილის ს. მ. არწრუნის მოხსენებას: «კანონები მთა-მადნის მომუშავეთა შესახებ.»

*** ქალაქის გამგეობას სთხოვა «ქ. მ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ», შემწეობა აღმოუჩინე ათ-ათის თუმნით საზოგადოების ორს სამკითხველოსაო. ქალაქის გამგეობა ამ თხოვნას მალე განიხილავს.

*** ტფილისის გუბერნიის მკურნალს ბ—ნ ტ. ქიქოძეს სტატსკი სოვეტნიკობა ებოძა.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი სოკოლოვსკი ნიჟეგოროდის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგად დაინიშნა (კავ).

*** ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ნ. ვ. კოკჩაევის მოხსენება, რომელიც ავლაბარში სკოლის შენობის აგებას შეეხება.

*** დღეს, 17 აპრილს, კრება ექმნება ქალაქის საფინანსო კომისიას.

*** გუშინ-წინ ბათუმში გარდაიცვალა ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგე აბ. არტ. იოანნესიანი, რომელიც ავად იყო და მოსარჩენად საზღვარ-გარედ მიდიოდა.

*** მდაბიო მოქალაქეთა კრებაზედ 14 აპრილს მიღებულ იქმნენ საზოგადოების ახალნი წევრნი.

*** დღეს, 17 აპრილს, კრება ექმნება მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის კანცელარიასთან დაარსებულ შემნახველ-გამსესხებელ კასის წევრთ.

*** აწ გარდაცვალებულის დაღისტნის გუბერნატორად ნამყოფის ნ. ზ. ჭავჭავაძის ანდერძის შესახებ ერთი გვწერს,—რომ მე ვკითხე გარდაცვალებულის ძმის წულს და მან შემდეგი მიამბოო: «ანდერძის სისრულეში მოსაყვანად არჩეულ იყვნენ თავადნი ბიძინა ჩოლოყაშვილი, იოსებ შალიკაშვილი (ორივენი გარდაიცვალნენ) და ახლანდელი მარშალი ტფილისის გუბერნიისა დ. მელიქიშვილი, რომელმაც, სამწუხაროდ, ჩქარა დაანება თავი ამ მოვალეობასა. ფული სად ინახება, ან ვინ სარგებლობს, დღესაც გაუგებარიაო.

*** ჩვენ შემოგჩივლეს, პირველ საპოლიციო უბანში მეეზოვენი ერთობ თავხედურად იქცევიან. ამ დღეებში ერთი მეეზოვე პირ-და-პირ შევარდნილა მეწვრილმანის დუქანში და ფულის მოტაცება სდომებია.

*** რედაქციამ ჟურნალ «მოამბე»-ს მარტის ნომერი მიიღო.

*** გუშინ-წინ მცხეთაში იყო საქართველოს ეგზარხოსი მცხეთის ეკკლესიის განმაახლებელ კომისიის წევრებითურთ და დათვალიერა მცხეთის ტაძარი ეგზარხოსსა და კომისიას დაუდგენიათ, ახლავ დაიწყონ ტაძრის შეკეთება.

*** ფოთიდან გვწერენ, რომ 14 ამ თვეს დილით ერთს იქაურს მეორე გილდის ვაჭარს რაღაც შინაურ მიზეზების გამო ლევორვერით მოუკლავს თავი. დაწვრილებით შმდეგ.

*** ტფილისის რკინის გზის სამკურნალოს ფრთვიზორმა პეშკოვმა აცნობა პოლიციას, მოსამსახურემ თოფურიამ 90 მანეთი მოიპარა და სადღაც მიიმალაო. თოფურია ჯერ-ჯერობით ვერ უპოვიათ.

*** 15 აპრილს დიდუბეში ვიღაც კაცი, ქალაქზედ მთვრალი, ტერ-მანასოვის აგურის ქარხანასთან, ორმოში ჩავარდა და ძალიან დაშავდა, დაშავებული სავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაზედ მოკვდა.

*** 15 აპრილს ელისაბედის ქუჩაზედ ცხვრის ტყავებითა და ღორის ჯაგრით სავსე ხურჯინი იპოვნეს პოლიციელებმა. ვისია ხურჯინი, არ იციან.

*** 14 აპრილს, საღამოს 10 საათზედ, კრილოვის ქუჩაზედ, ოგანეზოვის სახლსთან, ორის კვირის ბავშვი იპოვეს. ბავშვი წაყვანილ იქმნა ოლგას საბებიო ინსტიტუტში.

*** პარიჟიდან ტფილისში გამოუგზავნიათ ფუთით 2,000 მანეთად დირებული ძვირფასი ნივთები. ტფილისში, როდესაც გაუხსნიათ, შიგ ერთი ქოლგისა და ქაღალდების მეტი არა აღმოჩენილა რა. ნივთების გამომგზავნელს 2.000 ფრანკად ჰქონია დაზღვეული.

დასაფლავება ლადო აღნიაშვილისა.

—

გუშინ, დილის 11 საათიდან, მრავალი ხალხი მიდიოდა ქვაშვეთის ეკკლესიაში, სადაც ესვენა გვამი უანგარო მოღვაწის ლადო აღნიაშვილისა. სახე ყველას მოღრუბლული და კაეშნიანი ჰქონდა, ყველა სწუხდა უდროოდ გარდაცვალებას დაუვიწყარ მამულიშვილისას.

საყდარში წირვა იდგა, ხალხი ნელ-ნელ ემატებოდა... მოვიდნენ წარმომადგენელნი ადგილობრივ გაზეთებისა, ქალაქის გამგეობისა, სათავად აზნაურო სასწავლებლისა. მოიტანეს გვირგვინებიც და შეამკეს ძვირფასი კუბო... პირველ საათზე თითქმის ერთიან გაივსო ხალხით მთელი გალავანი...

წირვა გათავდა.. დაიწყო ანდერძის აგება... გგონია აგერ ეხლა მაინც დაიწყებს გალობას ქულაჯაში გამოწყობილი ქართული ხორო. ამაოა თქვენი ლოდინი... ამ საქმისთვის თავი არავის შეუწუხებია; საჭიროდ არ დაუნახავთ, რომ, ნიშნად პატივის-ცემისა, ასეთის ამბით გაეცილებინათ სამარის კარამდე იმ გულწრფელის, პატივ-საცემის კაცის გვამი, რომელმაც ჩაჰყარა მტკიცე საძირკველი და ამ ოცის წლის წინად დააარსა მუდმივი ქართული ხორო.. გალობდა მხოლოდ ბ-ნ მონადიროვის გუნდი.

გათავდა ანდერძის აგება. მიცვალებული გაატარეს ჯერ ბარიატინკის ქუჩაზე, შემდეგ ვორონცოვის ხიდზედ, მიხეილის პროსპექტსე და მიიტანეს კუკიის მართმადიდებელთა სასაფლაოზედ... გზაზედ მდაბიო ხალხი უფრო მიემატა.

გაჩუმდა ხალხი... სათავად.აზნაურო სკოლის მასწავლებელმა ივ. რატიშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, საკმაოდ ვრცლად დაახასიათა უანგარო მოღვაწეობა განსვენებულისა.

სიტყვა წარმოსთქვა და პატარა ლექსიც წაიკითხა ი. ევდოშვილმა.

ლექსითვე მიჰმართა მიცვალებულს ბ-მა ალ. მჭედლიშვილმა.

$3^1/_2$ საათზე კი მიწაში ჩაუშვეს ძვირფასი გვამი.

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.

(გაგრძელება *).

მურის (ჭიის) გამოყვანა თესლიდგან.

მურის გამოყვანა უნდა დაიწყოთ მაშინ, როდესაც თუთის ხეებზედ კვირტები გაფოთვლას დაიწყებს. ხელოვნურად გამოყვანა მურისა თესლებიდგან ჩვენთვის უფრო გამოსადეგია, თუ რომ ამას გარემოება ხელს შეუწყობს, თუ არა და უმჯობესია ბუნებას უყუროთ და ის შეასრულებს თავის მოვალეობას. სოფელში ხელოვნურად მურის გამოყვანა შეიძლება ამნაირად: როდესაც კვირტების გაფოთვლამდე რამდენიმე დღე იქმნება დარჩენილი, ტერმომეტრის შემწეობით შეიტყეთ სითბო-სიცივის რაოდნობა იმ ჰაერისა, რომელშიაც ინახება თქვენი თესლები. აგრეთვე უნდა დაზომოთ სითბო-სიცივე იქაც, სადაც თქვენ ჰფიქრობთ დაიწყოთ მურის გამოყვანა. ვთქვათ, მაგალითად, აბრეშუმის თესლი იმყოფება ათ გრადუს სითბოში,—იმ ადგილას კი, სადაც მური გინდათ გამოიყვანოთ, არის მაგალითად, რვა გრადუსი სითბო. გახსოვდეთ, რომ სითბო-სიცივის უეცარი რყევა ჭიების და ბოჟის ტანმრთელობისათვის დიდი მავნებელია. ამიტომაც ჩვენ არ შეგვიძლიან ათ გრადუსიან სითბოდან თესლი პირდაპირ გადვიტანოთ რვა გრადუსიან სითბოში; წინ და წინ ჩვენ ორივე ადგილის ჰაერი უნდა დავაყენოთ ერთ ზომის სითბოზედ,—ამისთვის ან უნდა ავწიოთ სითბო ჭიების გამოსაყვან ბინაში ათ გრადუსამდე, ან და უნდა მოუკლოთ ორი გრადუსი სითბო იმ ჰაერს, რომელშიაც თესლებია. სითბოს დაკლებას მოუნდება არა ნაკლებ ერთის დღისა: მაგალითად, თუ დილას დაუკლით ერთი გრადუსი სითბო, მერე უნდა მოუკლოთ ნაშუადღევს, ან კიდევ უკეთესია საღამოს, ან მეორე დილას, რადგანაც უცებ დაკლება, როგორც ვთქვით, მავნებელია მაშინ, როდესაც სითბოს აწევას იქ, სადაც მურის გამოყვანა გინდა, სულ ცოტა დრო უნდა. ის ოთახი, სადაც მური გინდათ გამოიყვანოთ, გაათბეთ ათ ან თერთმეტ გრადუსამდე, შემდეგ თესლი გამოიტანეთ ოთახში, დაყარეთ, რაც შეიძლება, თხლად სუფთა ქაღალდზედ და ყოველ დღე სითბოს უმატეთ ერთი, ერთ ნახევარ გრადუსი, და როდესაც სითბოს მიიყვანთ ჩვიდმეტ-თვრამეტ გრადუსამდე, მომატება შეაჩერეთ. ეს სითბო უნდა იდგეს ოთახში სულ, სანამდისინ მურის გამოჩეკა მოთავდებოდეს. ნოტიოს მოსასპობლად ოთახში, თესლებთან ახლო, რამე ჭურჭელში იქონიეთ კირი. შეშის სიძვირესთან მურის გამოყვანა უფრო ეკონომიურად და კარგად შეიძლება უბრალო ლამპის შემწეობით, რომელიც გაგვითბობს მხოლოდ იმ ადგილს, სადაც თესლიანი ქაღალდი იქნება დადებული. ვთქვათ, ქაღალდი დადევით მაგიდაზედ. ამ ქაღალდს ამოუდევით ტერმომეტრი და იქავე, მეორე ქაღალდის გვერდით დადგით ლამპა და მას დააფარეთ აბაჟური, თუ გინდ ქაღალდისა. ლამპის მოკიდებულ



პატრუქის აწევ-დაწევით შეგვიძლია მოუმატოთ და მოუკლოთ სითბო, რაიცა შეეტყობა ტერმომეტრზედ. ლამპის შემწეობით მეაბრეშუმეს უფრო ადვილად შეუძლია რიგიანათ სითბოს აწევა და დაწევაც მაგიდაზედ, ვიდრე მთელს ოთახში ცეცხლის დანთებით.

მურის გამოჩეკა.

თვრამეტ-ცხრამეტ გრადუს სითბოში რამდენისამე დღის განმავლობაში მური დაიწყებს გამოსვლას. მური იწყებს გამოსვლას დილით ადრე. როდესაც გამოსვლას შეატყობთ, თესლზედ დადევით დაუთოვებული ლეჩაქის ნაჭერი, ან მსხვილ-თვალა კანვა, ან, კიდევ უკეთესია იხმაროთ ამისთვის დანიშნული ასაკრეფი მარლა, რომლის გამოწერა შეიძლება ტფილისიდგან, სააბრეშუმო სადგურიდგან, შეიძლება შინაც გააკეთოთ ძაფის ბადე. თვალები ბადისა უნდა შეეფერებოდეს მურის სიდიდეს პირველ ჰასაკში. სიფართე ბადისა, მარლისა, ლეჩაქისა იმდენი უნდა იქნეს, რამდენი ადგილიც თესლებს უკავია. ამაზედ დააწყეთ ახლად მოკრეფილი ნორჩი ფოთოლი თუთისა. სველი არ უნდა იქნეს. გამოსული მური გავა ბადეში და დაესევა ფოთოლს. დაახლოვებით ერთ ნახევარ ან ორ საათს ფოთლების დაყრის შემდეგ, ის მურიანი ფოთლები სიფრთხილით მოაშორეთ ასაკრეფს და დააწყეთ წმინდა ქაღალდზედ. თუ მური კიდევ გამოდის თესლებიდგან, ასაკრეფზედ კიდევ დააწყეთ ფოთოლი და მოიქეცით ისე, როგორც პირველად, მხოლოდ ეს მეორე წყება მურისა ცალკე ქაღალდზედ დადევით. მურიანი ქაღალდები ცალ-ცალკე დააწყეთ თავის ადგილზედ, რომელიც მიჩენილი გაქვთ ჭიებისთვის. ეს ჭიები დაიკავეთ ჩვიდმეტ გრადუსის. სითბოში, შეიძლება თვრამეტი გრადუსიც. ეს სითბო უნდა იგდეს საყაჩეში სულ, პარკების ქსელვის დაწყებამდე. დანარჩენ თესლებიდგან მური გამოვა მეორ-მესამე დღეს და შეიძლება მეოთხე დღეს მოთავდეს. ამასთან უსათუოთ იქონიეთ სახეში შემდეგი:

ა) დილის გამოსული მური არასოდეს არ უნდა შეუერთოთ შუადღის გამოსულს; ეს ცალკე უნდა იყოლიოთ ან და სულ გადაყარეთ, რადგანაც ისინი სუსტები გამოდგებიან.

ბ) ერთის დღის გამოსული მური არ უნდა შეუერთოთ მეორე დღის გამოსულს. გასარჩევად სხვა-და-სხვა დროს გამოჩეკილ მურისა ერთ მეორეში და თითოეულ ქაღალდს უნდა ჰქონდეს ქინძის თავით მიკრული საჩვენებელი პატარა ქაღალდი, რომელზედაც უნდა ეწეროს პასუხები შემდეგ კითხვებისა. აი მაგალითი:

---

*) იხ. „ივერია“, № 91.

კითხვები:

1) რა ჯიშის აბრეშუმის ჭიის თესლია?
2) ვისგან შეიძინეთ?
3) როდის დავდევი გამოსაყვანად?
4) როდის დაიწყო გამოსვლა მურმა?
5) რომელი წყებაა.
6) პირველი კანის ცვლა.
7) მეორე კანის ცვლა.
8) მესამე კანის ცვლა.
9) მეოთხე კანის ცვლა.
10) პარკის ქსოვა დაიწყო...

პასუხები:

1) ბაღდადისა.
2) «შრომის კავშირის» საზოგადოებისაგან ქჯაგანში.
3) 20 აპრილს.
4) 30 აპრილს.
5) პირველი.
6) 5 მაისს.
7) 10 მაისს.
8) 15 მაისს.
9) 21 მაისს.
10) 30 მაისს.

(შემდეგი იქნება)

ნ. მკურნალი.

ჩვენებური ამბები

ქ. ოზურგეთი. ახლო-მახლო სოფლებისა და საერთოდ გურიის ქონებრივად გაღარიბებამ შესამჩნევი კვალი დააჩნია ამ მხრივ ოზურგეთსაც... მოგეხსენებათ, რომ ოზურგეთში არავითარი ქარხანა-ფაბრიკები არ არსებობს, რომ აქ მომუშავე ხალხმა იმოძრაოს, გააკეთოს რამე და მის გამო გაჩაღებული ალებ-მიცემობა იყოს. რადგან ეს არ არის, ოზურგეთიც მიჩერებულია და ალებ-მიცემობას და კარგს ვაჭრობას ელის მხოლოდ სოფლისაგან, თუ ადგილობრივ მცხოვრებთ არ ჩავაგდებთ სათვალავში. თუ სოფლებში ფულია, აქაც გაჩაღებული ვაჭრობაა, თუ არ არის, ოზურგეთიც ყურებ ჩამოყრილია და უცდის დროს.

მაინც ამ ორისა თუ სამის წლის განმავლობაში გურიის ქონებრივი მდგომარეობა თან და-თან უკან მიდის, რაიცა ყველას მოეხსენება... საზოგადოთ გურულ გლეხის ერთად ერთს შემოსავალს, რომლითაც უნდა დააკმაყოფილოს ყველა მოთხოვნილებანი, შეადგენს სიმინდის მოსავალი—და სიმინდის მოსავალს რა დღე ადგია, ეს ყველასათვის ცხადია. გასული წელი უბედურ წელიწადათ უნდა ჩაითვალოს გურულებისთვის, ერთი, რომ სხვადა-სხვა მიზეზების გამო ძალიან ცოტა მიწები იქმნა შემუშავებული ყანად, ხოლო რაც დაითესა, ცუდი ამინდების გამო, ლოდინის მესამედიც არავის მოსვლია, და, რაც მოვიდა, ისიც უვარგისი შეიქმნა...

იყო გურიაში ერთი შემოსავლიანი წყარო, რომელსაც ბევრნი მისდევდნენ და თავის დროზედ კარგა ძალი ფული შემოჰქონდა სოფლებში. ეს იყო არაყის გამოხდა ადესის ღვინისა და ჭაჭისაგან, მაგრამ ესეც ძალიან შემცირდა ამ ბოლოს დროს. რად? ერთი, რომ ღვინის მოსავალმაც იკლო და მეორე—არაყზე ბაჟი მოემატა, ასე რომ ხშირად არაყის გამომხდელს, თუ მის შრომას ანგარიშში არ ჩავაგდებთ, დანახარჯის ფულის გასასტუმრებელიც აღარ რჩება, ამიტომ დღემდი თუ ასობით და ათასობით ვედრო არაყი მიდიოდა გურიიდან ბათუმისაკენ, ეხლა ათობითაც ძლივს მიდის...

საზოგადოდ ყველგან და უფრო მეტად გურიაში დიდად მომზადებულნი შეხვდებიან ხოლმე კარგ დღეებს. თუ ვინმე რასმე იშოვის, ამ დროისთვის ინახავს და, თუა რა აქვს, ყოველსავე ღონეს ხმარობს, რომ იშოვოს... ყოველ სააღდგომოთ, მთელ ვნების კვირაში, აუარებელი სოფლელი ხალხი იკრიბება ოზურგეთში, თავის ნაწარმოები ჩამოაქვს გასასყიდათ და რაც ესაჭიროება, აქვე ყიდულობს; აქაური ვაჭრები რასაც მთელის წლის განმავლობაში ვერ ივაჭრებენ, ამ დროს შეავსებენ, მაგრამ წელს ჩვეულებრივზედ ძალიან ნაკლები იყო ვაჭრობა. სოფლიდგან ჩამოტანილი სანოვაგეც ძვირად ფასობდა. ნუ დაივიწყებთ, რომ მხოლოდ ფასობდა და მიმცემი კი არავინ იყო. ზემო მოხსენებული ცხად ჰყოფს, რომ გურია მეტად დაღარიბებულია ქონებრივად და აღარაფერი მოეპოვება, რომ კარგს დღეებს ჩვეულობრივ მომზადებული მხიარულად და კეიფით შეხვდეს. სხვას «არაფერი აქვს, მე საიდგან ვიშოვოო»-ო, ფიქრობს და ამ სოფლების დაღარიბება გაჭარვებამ დიდი კრიზისი გამოიწვია ოზურგეთში, ამიტომ ეს ქალაქიც არა ნაკლებ გაჭირვებაშია ჩავარდნილი ქონების მხრივ, რადგან სოფლები დაღარიბებულია და ესეც სოფლის შემყურეა. დღეს ყველასაგან ის მოგესმის: «მთელი ოზურგეთი რომ შემოირბინო, ხუთ მანეთს ვერ იშოვიო.

ყველა ეს იწვევს ათას-ნაირ ქურდობას, ცარცვა-გლეჯას. ამ ორი კვირის განმავლობაში ახლო-მახლო სოფლებიდან და თვით ოზურგეთშიაც ბევრი მოხდა ისეთი სამარცხვინო ქურდობა, როგორიც არის ქათმის, ბატის, ინდოურის, კვერცხების და სხვა ასეთების მოპარვა... ქურდობა საზოგადო, როგორც უნდა იყოს, სამარცხვინოა, მაგრამ ავაზაკი, და უმეტესად გურული, არა სოდე არ იკადრებს ქათმის და ბატის ქურდობას, თუ მართლა გასაჭირი არ ადგია და საქმელის შოვნის სახსარი აქვს.

ვნების კვირაში ერთ აქაურ მცხოვრების სახლში შევიდნენ ღამის ქურდები, დაჰკლეს იქვე დაბმული ძროხა, გაატყავეს, ხორცი წაიღეს და ტყავი პატრონს დაუტოვეს... და სხვა მრავალი ამისთანები ხდება, რომლის ჩამოთვლა საჭიროდ არ მიგვაჩნია.

ჟუჟუ-ალი.

კავკასია

ყარსი. კვირას, 11 ამ თვისას, საშინელი უბედურება მოჰხდა ყარსში: რვა საათზედ დილით უეცრივ გარდაიცვალა თავისს სახლში ყარსის პოლიცმეისტერი თ. მ. ო. ხერხეულიძე, მამა თორმეტის შვილისა, რომელთაგან მხოლოდ ოთხნი არიან გზაზედ დაყენებულნი, დანარჩენნი ერთმანერთს მოზდევენ, და უკანასკნელი ხუთის წლისა.

საყვარელის და ყველასაგან პატივცემულის მიხაკოს სიკვდილმა თავზარი დასცა იმის ნაცნობთ და მეგობართ; ათის ნახევარი იყო, როცა სახლიდგან გამოველი და ჩაუხვიე ალექსანდრეს ქუჩას, სადაც აქა-იქ ჯგუფად იდგა ხალხი, რომელსაც რაღაც ჩოჩქოლი გაჰქონდა. მივუახლოვდი პირველ ჯგუფს და შემომესმა: «გაიგე, რა მოხდა?» «რა მოხდა? არავიცირა!«, ამ დილით, სასწრაფოდ გარდაიცვალა ყარსის პოლიცმეისტერი!» ისე გამაოცა და თან შემაწუხა ამ ამბავმა, რომ მის სიკვდილის მიზეზიც კი ვერ ვიკითხე! გავწიეთ მაშინვე რამდენმამე კაცმა ხერხეულიძის სახლისაკენ, სადაც აუარებელი ხალხი და პოლიციის მოხელენი იდგნენ. შევაღეთ კარი, შევედით ოთახში და, ის თქვენ მტერს, რაც ჩვენ იქ სანახავი ვნახეთ! ჩაცმულ-დახურული იატაკზედ გართხმული იყო უბედური მიხაკო და თავს მკურნალები დასტრიალებდნენ, მაგრამ ამაოდ! გაციებულ გვამს ვეღარაფერი უშველეს! ავწიეთ მიცვალებული და გავასვენეთ დარბაზში. კალმით აუწერელი და ენით გამოუთქმელია ის გულსაკლავი და და გულის გამგმირავი სცენა, რომლის მოწმენიც ვიყავით დასწრენი, როცა ცოლშვილი გამოცვივდა და თავს აკლავდა საყვარელ არსებას! დამსწრეთა ნუგეშმა ვერ იმოქმედა, ვერ გასჭრა, ვერ დააშოშმინა უნუგეშო და უსახსროთ დარჩომილი ცოლშვილი!...

ჯერ არავინ იცის ამ უბედურების მიზეზი. იმ პატარა ბარათიდგან, რომელიც განსვენებულს დაუტოვებია, ის გაიგო ყველამ, რომ იგი ეთხოვება ცოლშვილსა და სთხოვს, რომ მისი გვამი დაკრძალულ იყოს სამშობლო სოფელში. თანხმად მიცვალებულის სურვილისა, გვამი ჩაასვენეს «ცინკის» კუბოში და წაიღეს საგვარეულო სასაფლაოზედ დასამარხავად.

აუარებელმა ხალხმა და ყარსის ყველა სასწავლებლების მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა გააცილეს საყვარელი არსების მცხედარი რკინის გზის სადგურამდის და ოცამდის გვირგვინით შეამკეს მისი კუბო. გვირგვინები იყო გუბერნატორისაგან, ყარსის-ყველა სასწავლებლებიდგან, ხელქვეითაგან, ნაცნობთა და მეგობართაგან და ყარსის ქართველობასაგან. მშვენიერი იყო ყარსის ქართველობისა და ბერძენთაგან.

ყარსის მასწავლებელთა და მოსწავლეთ დიდი პატივი სცეს განსვენებულს, როგორც მათთვის გულშემატკივარს, რომელიც, რაც კი შეეძლო, არა ზოგამდა ფულსა და შრომას ადგილობრივის სასწავლებლებისათვის; იმის წყალობით და მეცადინეობით გაიხსნა ქალების პროგიმნაზია, სახელოსნო და ერთკლასიანი სასწავლებლები; იმისივე ბრალია, რომ სამოქალაქო სასწავლებელს ას ოც თუმანს შემწეობას აძლევს ყოველ წლივ ქალაქი; ეს ფული, რომ არა ჰქონდეს ამ სასწავლებელს, იგი ვერ იყოლიებდა ორ მასწავლებელს; იმანვე შეაგროვა ფული და თავით ფეხამდის შემოსა ოთხმოც შეგირდამდის საახალწლოთ და სხვ. ერთის სიტყვით, არავისთვის რა შურდა განსვენებულს; თუ კი შეეძლო, არავის გაისტუმრებდა გულნატკენს, უნუგეშოდ, მხოლოდ თავისი თორმეტი შვილი დასტოვა ყოვლად უნუგეშოდ და უსახსროდ.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, უანგარო ტკბილო და ყველასაგან პატივცემულო და საყვარელო მიხაკო!

ერეკლე.

თეატრი და ხელოვნება

დ. ხონი. კვირას, 4 აპრილს, ქუთათურ არტისტის «ნემოს» დახმარებით, ადგილობრივ სცენის მოყვარულებმა გამართეს წარმოდგენა ხონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დარბაზში. წარმოადგინეს «გოგიას საცოლო», კომ. სამ მოქმედ., რუსულად „დათვი“. წარმოდგენამ, რაც შეიძლებოდა, კარგად ჩაიარა, ხალხი დიდი ნასიამოვნები დაბრუნდა შინ.

ბ-ნ «ნემომ», რაც შეიძლებოდა, კარგად დაახასიათა «გოგიას საცოლოში» ბიჭის როლი; ნათლად დაგვიხატა თვალწინ, თუ როგორ უნდა ეტრფოდეს საყვარელს, როდესაც მეტის-მეტად გამსჭვალულია ადამიანი მშვენიერ არსების სიყვარულით.

ქალბატონ ქუთათელაძის ქალმაც მშვენივრად ჩაატარა «გოგიას საცოლოში» ახალგაზრდა ქალის «ბარბალეს» როლი,—მისი მოქმედება და ლაპარაკი გამოცდილს და დახელოვნებულ მსახიობს მოგვაგონებდა, თუმც ამ ერთის მეტად არ გამოსულა სცენაზე.

ილია ბახტაძის ოხუნჯური ლაპარაკი მარკოზის როლში, განუწყვეტელ სიცილს ჰგვრიდა მთელს საზოგადოებას. წარმოდგენიდან დარჩა 65 მანეთი, რომელიც გადაეცა ხონის პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა საზოგადოების გამგეობას ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ილია ბახტაძეს, რომელიც ამ ჟამად ხონში სცხოვრობს, დაუწერია ორიგინალური პიესა, თანამედროვე ცხოვრებიდან აღებული—«დამონებული»; დრამა ახალგაზრდა მწერლის კალმის ნაყოფია და ვისაც წაუკითხავს, ყველა მოწმობს, რომ დრამის ავტორს ცხოვრების დაკვირვების უნარი აქვსო.

ალ. ადამიშვილი.

ნარკვევი.

„მოსკოვ. ვედ.“-ი ამბობს, რომ ძმიმესა და პასუხ-საგებელ საერო-განათლების მინისტრის თანამდებობაზედ, რომელიც ამდენს ხანს თავისუფალი იყო, ეხლა უკვე იქმნა დანიშნული უფროსი მთავარ-შტაბის ნიკოლოოზის აკადემიისა, გენერალ-ლეიტენანტი ვ. გ. გლაზოვიო. შემდეგ გაზეთი ასე განაგრძობს:

> ამ კაცის სახელი ჯერ-ჯერობით ბევრს ვერას ეტყვის და ვერას მიახვედრებს რუსეთის საზოგადოების უმრავლესობას... ეს სახელი არც განსაკუთრებულის პროგრამის მომასწავებელია, არც ნიშანია იმისი, რომ ხელ-ახლად დაიწყება სრული გადახალისება სასკოლო საქმისა, არც მანიშნებელია იმისი, რომ ისევ ძველს წესს დავუბრუნდებით, არც იმის მაჩვენებელია, რომ ახლად დაიწყება განხორციელება რომელისამე ახალის, თავისებურის და ორიგინალურის სისტემისა.

გაზეთი იმ აზრისაა, რომ ახალი მინისტრი გლაზოვი მშვიდობიანის ხასიათის კაცია და უნარი აქვს მშვიდობა და მყუდროება დანერგოს იქ, საცა შფოთვა და მღელვარებააო..

ნარევ-ნაკვეს-გასართობი

როდესაც იაპონიის ელჩი ივაკურა პირველად ჰოლანდიაში მისულმ 1871 წელსა და ამსტერდამში გემიდგან გადასულა, ნავთსადგურთან მოგროვილ ბიჭ-ბუჭებს დაუნახავთ უცნაურის სახის კაცი და მასხრულად ორთავ ხელით ცხვირი დაუგძელებიათ. არც ელჩსა და არც მის ამალას არა სცოდნიათ, რას ნიშნავს ეს ორმტკაველიანი ცხვირი და უკითხავთ ჰოლანდიის წარმომადგენელ ეიბოლანდისთვის, რომელმაც ელჩი იაპონიიდამ გამოაცილა.

ეიბოლანდი შეკრთა თურმე, მაგრამ მალე თავი შეიკავა და [illegible]ჩს მოახსენა, ჩვენში ეგრე მიესალმებიან ხოლმე წარჩინებულ დიდკაცებსაო. ელჩი დაკმაყოფილებულა.

მეორე დღეს ელჩი მეფეს სადარბაზოდ მიუწვევია. როდესაც ელჩი სასახლეში შევიდა და მეფეს მიუახლოვდა, ორთავ ხელით ცხვირი დააგძელა. მისი ამალაც ასე მოიქცა და ცხვირდაგძელებული მეფის წინ გამოიჭიმა. მეფემ შუბლი შეიჯმუხნა.

ეიბოლანდი გაფითრდა, თოვლივით გათეთრდა, მაგრამ გონს მოვიდა და მეფეს მოახსენა, ეგ იაპონური სალამი არისო. შეჭმუხვნილმა მეფემ გაიღიმა და ელჩს ისეთივე სალამი მისცა. მეფის ამალამ და მაღალის საზოგადოების მანდილოსნებმაც ხელები ცხვირზე მიიდეს და მეფის სასახლეში კინაღამ უჩვეულო სიცილ-ხარხარი ასტყდა.

წერილი

რედაქციის მიმართ

ბარნ. ნიკოლოზის ძემ გაგუამ გამომიგზავნა ბაქოდამ მის ნაცნობ-მეგობართ შორის მოგროვილი ოცდა ერთი მანათი ჩემდა რწმუნებულ კოტიანეთის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. მანვე აღუთქვა სკოლას «ჯეჯილი»-ს გამოწერა. გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, შემაძლებინოთ თქვენის გაზეთის «ივერიის» საშუალებით გულკეთილ მოყვასს ბარნაბა გაგუას და ყველა შემომწირველთ მადლობა მოვახსენო ჩემისა და ზემოხსენებულ სკოლის სახილით.

სია შემომწირველთა:

ნ. ვ. ლოთრქიფანიძემ ღ პლატონ დიდებულიძემ სამ-სამი მანეთი, ობოლენსკი, შატილოვი პ., მაკაროვი, ჰაჯი ბაგაგადაში, ტროფიმოვი და ზალესკიმ ორ-ორი მანეთი, ბოღდანოვი, ბოლქვაძე და ბ. გაგუამ თითო მანათი და სულ ოცდაერთი მანეთი.

კოტიანეთის სამრევლო ერთკლასიან სკოლის მზრუნველი აზნ. გლადიმერ იესეს ძე გ.გ.

P. S. უმორჩილესად ვთხოვ «ცნობის ფურცლის» რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს.

ვ. მ.

„ივერიის“ ფოსტა.

ხ—ნ ს. ი. ბ—ძ ე ს. პიესა ჯერ არ განგვიხილავს. ზოგიერთი თქვენი გამოგზავნილი წერილები-კი მალე დაიბეჭდება.

ხ. უ ჩ—ა ს. თქვენი ლექსი «ქრისტე აღსდგა» არ დაიბეჭდება. დაგვიანებულიცაა და დიდაქტიკაცაა.

ბელაძეს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

ბ. პელაშვილს. თქვენს ლექსს დავბეჭდავთ.

ბ—მი. ჯ. ჩ—ძეს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 აპრილი.

პორტ-არტური. (საკუთ. კორესპ.) 14 აპრილს ღამე, 1 საათსა და 10 წუთზედ შემჩნეულ იქმნენ მტრის ნაღმოსანნი, რომელთაც მფარველობას უწევდა გემები. რამდენჯერმე ისროლეს ზარბაზნები, მაგრამ ზარალი არა მოუციათ რა. მტერი სამხრეთისკენ გაბრუნდა 2 საათზე.

ირკუტსკი. დღეს მოვიდა გზათა მინისტრი. გენერალ-გუბერნატორი მიეგება და ბაიკალისკენ გაისტუმრა.

მადრიდი. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა შეიწყნაროს პანამას რესპუბლიკა.

შლისელბურგი. იპოვნეს გვამი ეგერმეისტერის ანდრეევსკისა, რომელიც შარშან ლადოგის ტბაში დაიღუპა ნადირობის დროს.

სტამბოლი. პირობის შეკრულ სახელმწიფოთა ელჩებმა გუშინ წარუდგინეს კიდევ ქაღალდი ოსმალეთის მთავრობას დანარჩენ ვალდებულებათათვის ჟანდარმერიის რეორგანიზაციის შესახებ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. დაიწყო ნაოსნობა.

რომი. მეფე, ლუბე, ჰერცოგი გენუისა, გრაფი ტურინისა და მინისტრები ტიტტონი და დელკასსე დღეს გაემართნენ ნეაპოლს.

16 აპრილი.

ირკუტსკი. 14 აპრილს დილით მობრძანდა დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე. მიეგება ამ ქვეყნის მთავარ-უფროსი.

სერგის პოსადი. (მოსკოვ. გუბერ.) ადმირალი სკრიდლოვი მოვიდა ტროიცკი ლავრას. მედროშეთა საზოგადოებამ მიართვა ხატი დიმიტრი დონელისდელო ცვისა, ხატი წმინდა სერაფიმისა და პატარა ხატი ღირსისა სერგისა. გზის დასალოცველ პარაკლისის შემდეგ ადმირალი გაემართა მოსკოვზედ სევასტოპოლს.

ჩიფუ. ნიუ-ჩჟუანიდან მოსულმა გემმა მოიტანა ცნობა, რომ ლიაოხეს ორივე ნაპირი გაუმაგრებიათ რუსებსა. ას დიდის ყალიბის ზარბაზნამდეა დამაგრებული სანგრებზედ. იაპონელებმა დაიჭირეს კულენჩენი ანდუნიდანენ ჩრდილოეთად.

კარლსრუე. იმპერატორი და იმპერატრიცა მობრძანდნ აქ ნაშუადღევს.

მოსკოვი. მოსკოვის მარშლებმა მიართვეს სკრიდლოვს წმ. ნიკოლოოზის ძველებური ხატი, ქალაქის მოურავმა-ოქროს ხატი გიორგი ძლევა-შემოსილისა, ძვირფასად მორთული მინანქრითა და მარგალიტით. ადმირალმა სკრიდლოვმა სთქვა, რომ ტროიცკის ლავრას მოლოცვამ შთამბერა ძალ-ღონე ხელმწიფისაგან მონდობილ ფრიად მძიმე საქმის შესასრულებლადაო. ნაშუადღევს სკრიდლოვი კურსკის გზით გაემართა.

კალუგა. გადაიწვა დიდი ვაჭრობის მიმდევარი სოფელი სპასო-დემინსკი. ზარალი ნახევარ-მილიონამდეა. კაცთაგან არვინ დაზარალებულა.

ტოკიო. («რეიტერის სააგენტო»). იაპონიის კანონერკა «მაია» რამდენისამე ნაღმოსან გემის თანხლებით ორშაბათს შევიდა იალუში, ავიდა ზეით და ორშაბათსა და სამშაბათს რამდენჯერმე სროლა დაუწყო ზარბაზნებისა რუსთა ჯარს, რომელიც ნაპირებად იყო დაბანაკებული.

ბერლინი. ნიუ-იორკიდან მოსულ ცნობით, ბრიჯპორტს აგებული წყალ ქვეშ მავალი ნავი «პროტექტორის» სისტემისა ოთხშაბათს მიჰყიდეს იაპონელებსაო.

პეტერბურგი. ცირკულიარი გარეშე საქმეთა მინისტრისა რუსეთის წარმომადგენელთა მიმართ საზღვარ გარედ; «უცხოეთის მწერლობა ამ ბოლოს დროს დაჟინებით ავრცელებს ხმას, ვითომ ევროპის ზოგიერთ მთავრობათა შორის განზრახვაა, საშვიდობო შუა-კაცობა იკისრონ, რათა ჩქარა გათავდეს რუსეთ-იაპონიის ომი. დეპეშებით იმასაც-კი იუწყებიან, რომ ვითომ ამ აზრით უკვე წინადადებაც გაეგზავნა რუსეთის მთავრობასაო. ამის გამო განდობთ და გავალებთ, რომ გადაჭრით უარ-ჰყოთ სიმართლე ასეთის ხმებისა. რუსეთს არ უნდოდა ომი; მან ყოველივე იკისრა, რაც-კი შესაძლებელი იყო, რათა მშვიდობიანის გზით გათავებულიყო შორეულ აღმოსავლეთში ატეხილი დავა, მაგრამ შემდეგ იაპონიის ღალატით თავ-დასხმისა, რომელმაც იძულებულ ჰყო რუსეთი იარაღი აესხა, არავითარს მშვიდობიანს შუა-კაცობას, ცხადია, სასურველი შედეგი არ მოჰყვება. აგრეთვე საიმპერატორო მთავრობა არ შეიწყნარებს რომელისამე დიდის სახელმწიფოს ჩარევას მაშინ, როცა ომის გათავების შემდეგ ზავის პირობათა დასადებად ჩამოვარდება პირდაპირი მოლაპარაკება რუსეთსა და იაპონიას შორის. ყოველივე ზემორე აღნიშნული გეუწყებათ საცნობელად და სახელმძღვანელოდ».—13 აპრილს ვიტებსკში ძლიერის ქარის ქროლვის დროს ცეცხლი გაჩნდა და გადასწვა 175 სახლი და მართლ-მადიდებელთ ეკკლესია. ხელმწიფე იმპერატორმა 15 აპრილს კეთილ-ინება და გაუგზავნა გადამწვართ შესაწევრად 25 ათასი მანეთი.—ხარკოვის თავად-აზნაურობის უქვეშევრდომილესს ადრესზედ, რომელშიაც გამოთქმული იყო, ვაი თუ რეფორმების შემოღების შემდეგ ადგილობრივ მმართველობაში, თავად-აზნაურობამ, თვითმპყრობელ ხელმწიფეთა ნებით მოწოდებულმა, რადა დარაჯად უდგეს საერო განათლების საქმეს, დაჰკარგოს თვისი პირვანდელი მნიშვნელობა ამ მხრივაო,

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და საკუთარის ხელით წააწერა:

ადრესში გამოთქმული შიში უსაფუძლოა. სახალხო სკოლა სახელმწიფოს მხნე ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა იყოს, გარნა უკეთესნი ადგილობრივნი კაცნი თავად-აზნაურთა მეთაურობით მოვალენი არიან წინანდელებრ გულითა და სულით გასწიონ მისთვის ზრუნველობა

გამოცხადებულია ჩრდილოეთ ამერიკის შტატების მთავრობის მიერ წეს-რიგი ნეიტრალიტეტისა იმ ხანს, რა ხანსაც გასტანს რუსეთ-იაპონიის ომი.

ვაშინგტონი (რეიტ. სააგ.). თანამად ამერიკის ელჩის დეპეშისა ტოკიოდგან, გაზეთების კორესპოდენტებს ამიერიდგან აღარ მიეცემათ ნება იაპონიის ჯარს თვალ-ყური ადევნონ, უიმისოდაც 200 ინგლისელი და ამერიკელ კორესპოდენტი გაჰყოლია ჯარსაო.

ბერლინი. სამხედრო თანამშრომელი «ლოკალანცეიგერისა სწერს ვლადივოსტოკის ესკადრის გამარჯვების შესახებ, იაპონიისათვის დიდი და საერთო მნიშვნელობა უფრო ექმნება იმ გარემოებას. რომ მეზღვაურთა ხელმძღვანელნი იძულებულ იქმნებიან ფლოტი გაჰყონ თავის ტრანსპორტების დასაცველად ზღვებზე და ვლადივოსტოკის ესკადრას თვალ-ყური ადევნონ, რისთვისაც მეტი ძალაა საჭირო. ამ გარემოებით პორტ-არტურის მეთვალ-ყურეობასაც სხვა ხასიათი ეძლევაო.

მადრიდი. ქვანახშირის მღვიმეში, ტოჩინოს, სევილის პროვინციაში, მიწისძვრისაგან ხვრელი ჩაინგრა და ბევრი მომუშავე დაიტანა. ჯერ იპოვეს 50 მკვდარი და 10 დაშავებული-

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტი ევრეინოვი დაინიშნა არმიის მე—18 კორპუსის უფროსად.

დილის 10 საათზე მოვიდნენ «ვარიაგისა» და «კორეეცის» გმირები ფლიგელ-ადიუტანტის რუდნევის უფროსობით. ავდარი და სიცივე დღესასწაულობას ხელს უშლის. მთელი ქალაქი ნევსკის პროსპექტზედ შეგროვდა, რომ მიესალმოს გმირებს, როდესაც სასახლისკენ გაემართნენ.

კონტრ-ადმირალ მატუსევიჩს დაევალა მეზღვაურთა სანაპირო რაზმების უფროსობა და საამშენებლო განყოფილებაც ჩაჰბარდა პორტ-არტურში.

ბელგრადი. რუსის ელჩმა გუბასტოვმა მეფეს რწმუნების ქაღალდები წარუდგინა.-- ოფიციალურ გაზეთში გამოცხადებულია რავდენისამე პოლკოვნიკის გამწესება პოლკების უფროსებად. პოდპოლკოვნიკი პეტრე მიშიჩი მეშვიდე პოლკის უფროსად დაინიშნა.

ნეაპოლი. მეფე და ლუბე ვოგზალიდგარ სასახლეში მიბრძანდნენ. სალამოს სადღესასწაულო სადილი იყო და შემდეგ საგანგებო წარმოდგენა. სტუდენტებმა ჩირაღდნით ლიტანია გამართეს მეფისა და ლუბეს პატივსაცემლად. სადღესასწაულო სადილზედ მეფემ და ლუბემ გულითადი სადღეგრძელოები წარმოსთქვეს.

შერბურგი. სამხედრო სასამართლომ გაამართლა კურიერი მარტენი, რომელსაც ჯაშუშობა ჰბრალდებოდა სამსახურის დროს საზღვაო სამინისტროში, და საპატიმროდგან გაანთავისუფლეს.

ირკუტსკი. იმედი აქვთ 20 აპრილს ყინული შესჭრან და ნავოსნობა დაიწყონ.

ბუხარა. ემირმა შესწირა რუსის ფლოტს გასაძლიერებლად ერთი მილიონი მანეთი და თავის შვილის სახელით 15,000 მანეთი წარადგინა ტაშკენტის რეალურ სასწავლებელში ორის სტიპენდიის დასაარსებლად დიდის მთავრის კირილ ვლადიმერის ძის სახელობაზედ, სახსოვრად სასწაულებრივის გადარჩენისა.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგნი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა
13 აპრილი 1904 წ.
ვექსილის კურსი 3 თვით

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	45,95
პარიჟში 100 ფრანკში	37,42½
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,67½
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	92¾
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	91½ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	378¾
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	305 წერ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	275½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.
(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) სალამოს 72 8 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 11) შუადღი ს. 8 წ. 2) სალამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) სალამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. სალამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან მოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2 ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს 58 წ. 2) სალამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 13 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, თვისის წესდების 91 §-ის ძალით, აუწყებს შემოხსენებულ ბანკის ზიარ რწმუნებულთ, რომ ამა წლის 18 მაისისათვის, დილის 10 საათზედ, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისში, დანიშნულია

საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1903 წ. საოპერაციო წლის განმავლობაში და ზოგადი მის შესახები მოხსენება.

2) მოხსენება იმისი, თუ რა მდგომარეობაშია ბანკის სადავო საქმეები სასამართლოებში.

3) მოხსენება იმ მამულების თაობაზედ, რომელიც ბანკის დარჩა.

4) მოხსენება ბანკის მოხელეთათვის დამზოგველ-შემწევნელ კასის შესახებ.

5) მოხსენება ბანკში დასაგირავებლად წარმოდგენილ მამულების დასაფასებელ ინსტრუქციის შეცვლისა და დამატებისათვის.

6) მოხსენება ზედამხედველ კომიტეტის რეორგანიზაციისათვის.

7) ბანკის საკარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1904 წლ.

8) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, იმათ მაგიერ, რომელნიც რიგით თავს ანებებენ სამსახურს: გამგეობის წევრის ა. ნ. ფურცელაძისა და დამფასებელ კომისიის წევრთა: თ-დ გ. ს. ციციშვილისა და თ-დ გ. ი. რატიშვილის მაგიერ; აგრეთვე არჩევანი ერთის კანდიდატისა გამგეობის წევრისათვის და ორის კანდიდატისა დამფასებელ კომისიის წევრთათვის.

(3—2).

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოჲ,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

70% ეკონომია 70%

უკანასკნელ დროის კონკურენციისა და საწყობში დიდ-ძალ დამხადებულ საქონლის გამო და აგრეთვე ფირმის გასაძლიერებლად, იძულებულნი ვართ დაუთმოთ ძალიან დაკლებულ ფასად.

მარტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით

ქვემოთ-ჩამოთვლილი სასარგებლო და ფასიანი 8 ნივთი. 1) **საათი** გაშავებულ ფოლადისა კაცისა ანუ ქალის ანუ კაცისა დაფერილი ოქროთი (გატარებული ცეცხლში) ძალიან მშვენიერია, მაგარი მექანიზმით და 6 წლის ბუღლავანობით. 2) **ძეწკვი ახალი ოქროსი** პრტყელი (პანცირისა) ანუ მოკლე ნიკელისა ან ქალისთვის ყელისა ახალი ოქროსი. 3) **ბრელოკი** ახალი ოქროსი, «კომპასი» ანუ სხვა. 4) **მეშის ქისა** საათის შესანახად. 5) ჯიბის ელექტრონული ფარანი, რომელიც იძლევა ძლიერ სინათლეს ანუ **ბეჭედი ოქროსი 56 დამღისა** ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზედ ჩამოსაკიდებელი. 6) **კალმის დანა** საუცხოვო საზღვარ-გარეთის ფოლადისა ან **მუშტუკ აპარატი** უვნებელ წევისათვის ან შეფერილი მაკრატელი. 7) ტყავის ქისა ერთი სახურავით და 7 განყოფილებით, მექანიკურ საკეტით და მყიდველის სახელის, მამის სახელის და გვარის ბეჭედით. 8) **ქისა** საზღვარ-გარეთის ტყავისა მისალოც ბარათებისთვის, ქაღალდებისთვის და საბუთის წერილებისათვის ან წყვილი საყურე ოქროსი 56 დამღისა ქვებით. ყველა ამას ვგზავნით მუქთ საჩუქრათ უბეოდ ფას დადებით მარტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით. თავ-სახურავიანი საათი დამატებით, 1 მან. და 50 კაპეიკით მეტი ღირს.

მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით: **Главному Складу Часовъ Торговаго Дома.**

Ш. Якобсонъ въ Варшавѣ, Тверская, 32/350

აზიის რუსეთსა და ციმბირში უბეოდ არ გაეგზავნებათ და გადახდებათ აგრეთვე ნაწილი გასაგზავნ ხარჯისა.

პრეისკურანტი უფასოდ.

(3—6—1)

Длисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდონტინი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბზერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალაჩი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესას წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

მსწრაფლ მბეჭდავი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

„ნადეჟდა“-ს

ტფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

11 აპრილიდან გადატანილ იქნება

მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.

შესასვლელი ეგზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.

საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და სალამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108. (5—6.—3)

საფთიაქო საქონლის მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას, ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. სადამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების საფთიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთეულება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქი და ლაბორატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი დიოთონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალგვარი და მრავალ-ფერიანი სუპირფარეშო სამკაული თმის და თვალ-წარბის სადებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი — პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: **Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.**



სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან
მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მეშის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა პულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუკი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 რობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პოტსიგარი ან მეშის ჩანთა ამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად. ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფილიკიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ და ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ.

3—6—2)

Дозволено цензурою Тифлисъ 16 апрѣля 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, домъ арм. семинаріи.